ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5630027

ნომერი: AR1846726

თარიღი : 27.08.2021

გაცემის თარიღი : 08.10.2021

გაცნობის თარიღი : 08.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 76;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა კანდელაკიშვილი პ/ნ 40001006991
- გურამიშვილის 76

ორგანიზაცია:
- ევროპის უნივერსიტეტი კოდი: 201954956

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო ობიექტები
  - უმაღლესი სასწავლებლები

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
01. წარმოდგენილი საპროექტო შენობების სიმაღლე ვერ აკმაყოფილებს სიმაღლის განსაზღვრის ნორმების მოთხოვნებს (14-39ის მუხლი მუხლი 31. მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა). როგორც № 5591104 გადაწყვეტილებით გეცნობათ, საჭროა სიმაღლის ანგარიში განხორციელდეს უკანა ეზოდან უმოკლეს მაძილში და ტერიტორიის იმ ნაწილზე სადაც საპროექტო ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი შენობის სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს საკუთარი საზღვრიდან. ვინაიდან შენობა ერთმანეთთან კონსტუქციულად დაკავშირებულია -წარმოადგენს ერთ შენობას (სპორტ-კომპლექსი და სასწავლო კორპუსი) და სიმაღლის ანგარიში უნდა განისაზღვროს უკანა ეზოს უმოკლესი მანძილიდან და გავრცელდეს მთლიანად შენობაზე. ხოლო შენობების განთავსებით ნაკვეთის ისეთ ნაწილებში, რომელსაც არ ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე და არ გააჩნია უკანა ეზო, სიმაღლე უნდა იანგარიშოთ საკუთარი საზღვრებიდან.
დაკორექტირდეს დოკუმენტაცია აღნიშნულის გათვალისწინებით და განთავსება საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილ ბანერზე მითითებულია 16 სართული,ხოლო განთავსებით დგინდება, რომ აღნიშნულ სართულიანობას ვერ დააკმაყოფილებს, წარმოადგინეთ ურთიერთ შესაბამისი დოკუმენტაცია.
02. ....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: მითითებული 16 სართული დაკორექტირდეს საჭიროების შემთხვევაში.
03. ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილია შეუსაბამო დოკუმენტაცია.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.